

საქართველოს სტანდარტი

სსკ 01.020;01.040.01

ტერმინოლოგიური მუშაობა და ტერმინოლოგიის მეცნიერება – ლექსიკონი

საინფორმაციო მონაცემები

1 შემოტანილია: სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ.

განხილულია სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 9-ის, „ტერმინოლოგია“ მიერ.

2 მიღებულია: სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2024 წლის 31 დეკემბრის № 109 განკარგულებით სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 9-ის „ტერმინოლოგია“ მიერ გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო-ს) სტანდარტის, ისო 1087:2019 (ENG) „ტერმინოლოგიური მუშაობა და ტერმინოლოგიის მეცნიერება – ლექსიკონი“, იდენტურ თარგმანს (IDT).

4 პირველად

5 რეგისტრირებულია: სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საქართველოს სტანდარტების რეესტრში 2024 წლის 31 დეკემბრის №268-1.1-00514

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

სარჩევი

წინასიტყვაობა	IV
შესავალი	VI
1 გამოყენების სფერო	1
2 ნორმატიული წყაროები	1
3 ტერმინები და განმარტებები	1
3.1 რეალობა და ენა	1
3.2 ცნებები	5
3.3 განმარტებები	12
3.4 სახელები	13
3.5 ტერმინოლოგიურ მუშაობასთან დაკავშირებული საქმიანობა	25
3.6 ტერმინოლოგიური მონაცემები	27
3.7 ტერმინოლოგიური რესურსები	30
3.8 ბუნებრივი ენის დამუშავება	37
დანართი A (საინფორმაციო) ცნებათა დიაგრამები და მოდელები	36
ბიბლიოგრაფია	53
ანბანური საძიებელი, ინდექსი	54

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

წინასიტყვაობა

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) წარმოადგენს სტანდარტების ეროვნული ორგანოების (ისო-ს წევრი ორგანოები) მსოფლიო ფედერაციას. საერთაშორისო სტანდარტების მომზადების სამუშაოს ასრულებენ, ჩვეულებრივ, ისო-ს ტექნიკური კომიტეტები. ნებისმიერ წევრ ორგანიზაციას, რომელიც დაინტერესებულია იმ სფეროთი, რომლისთვისაც არის დაფუძნებული ტექნიკური კომიტეტი, აქვს უფლება იყოს აღნიშნული კომიტეტის წევრი. საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ისო-სთან შეთანხმებით, ასევე, მონაწილეობენ ამ საქმიანობაში. ისო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტროტექნიკურ კომისიასთან (იეკ), ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ყველა საკითხთან დაკავშირებით.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენებული პროცედურები აღწერილია ისო/იეკ-ის დირექტივების 1-ელ ნაწილში. კერძოდ, აღსანიშნავია სხვადასხვა ტიპის ისო-ს დოკუმენტის დასამტკიცებლად საჭირო სხვადასხვაგვარი კრიტერიუმები. წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ისო/იეკ-ის დირექტივების მე-2 ნაწილში მოცემული სარედაქციო წესების შესაბამისად (იხილეთ: www.iso.org/directives).

აღსანიშნავია, რომ შესაძლოა, წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე ნაწილის მიმართ მოქმედებდეს საპატენტო უფლებები. ისო არ არის პასუხისმგებელი ასეთი საპატენტო უფლების დადგენაზე. დეტალები დოკუმენტის შემუშავების პროცესში გამოვლენილი რაიმე საპატენტო უფლების შესახებ წარმოდგენილი იქნება შესავალში ან/და მიღებული საპატენტო დეკლარაციების ისო-ს სიაში (იხილეთ: www.iso.org/patents).

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ნებისმიერი სავაჭრო დასახელება არის ინფორმაცია, მიწოდებული მომხმარებლისთვის მოსახერხებელი პირობების უზრუნველსაყოფად და არ წარმოადგენს რეკლამას.

სტანდარტების ნებაყოფლობითი ბუნების განმარტებისთვის, შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებით ისო-ს სპეციალური ცნებებისა და ფრაზების მნიშვნელობისთვის, აგრეთვე, ისო-ს მიერ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (ტბტ) თაობაზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) პრინციპების დაცვის შესახებ განმარტებებისთვის იხილეთ: www.iso.org/iso/foreword.html.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ტექნიკური კომიტეტის– ისო/ტკ 37, ენა და ტერმინოლოგია, ქვეკომიტეტი (ქკ)-1-ის (პრინციპები და მეთოდები) – მიერ.

წინამდებარე დოკუმენტი აუქმებს და ანაცვლებს ისო 1087-1:2000-ს, რომელიც ტექნიკურად გადამუშავდა.

ამ დოკუმენტში წინა რედაქციასთან შედარებით განხორციელდა შემდეგი ძირითადი ცვლილებები:

- ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიების უმეტესობა გადაისინჯა, თანამედროვე IV მდგომარეობის ასახვად;

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

- დამატებულ იქნა ზოგი ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიებისა წინა ისო 1087-2:2000-დან (რომელიც ამოღებულია ხმარებიდან).

წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებით ნებისმიერი უკუკავშირის სურვილის ან შეკითხვების გაჩენის შემთხვევაში უნდა მიმართოთ მომხმარებლის სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოს. ამ ორგანოების სრული სიის ნახვა შესაძლებელია მისამართზე: www.iso.org/members.html.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მთავარი მიზანია ტერმინოლოგიურ მუშაობასა და ტერმინოლოგიის მეცნიერებასთან დაკავშირებული ცნებების სისტემატური აღწერის უზრუნველყოფა და ამ სფეროში არსებული ტერმინების გამოყენების განმარტება. წინამდებარე დოკუმენტი განკუთვნილია ტერმინოლოგიურ მუშაობაში ჩართული ნებისმიერი პირისთვის. კერძოდ, მისი სამიზნე ჯგუფი შედგება სტანდარტიზაციის სპეციალისტების, ტერმინოლოგებისა და სხვა პირებისგან, რომლებიც ჩართულნი არიან ტერმინოლოგიურ მუშაობაში, ტერმინოლოგიის მომხმარებლებისგან და მკვლევრებისა და პროფესიონალებისგან, რომლებიც მუშაობენ ტერმინოლოგიის მეცნიერების ან/და ბუნებრივი ენის დამუშავების სფეროებში.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიები წარმოდგენილია სისტემატური თანმიმდევრობით რამდენიმე ზოგადი სათაურის ქვეშ.

სიტყვა-სტატიის სტრუქტურა შეესაბამება ისო 10241-1-ში მოცემულ მითითებებს. ამდენად, მისი ელემენტები წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:

- სიტყვა-სტატიის ნომერი
- უპირატესი ტერმინ(ებ)ი
- დაშვებული ტერმინ(ებ)ი
- შემოკლებული ფორმა/ფორმები ან აბრევიატურები
- განმარტება
- მაგალით(ებ)ი
- შენიშვნა/შენიშვნები

დოკუმენტში შეტანილი ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიები დაფორმატდა ისო 10241-1-ის შესაბამისად, რომელიც ადგენს ისო-ს მოქმედ წესებს ტერმინოლოგიური სტანდარტების წარმოდგენისათვის. განსაკუთრებით წინამდებარე დოკუმენტის მაგალითებსა და შენიშვნებში, ტერმინები (დასახელებების ჩათვლით) და საკუთარი სახელები ჩასმულია ორმაგ ბრჭყალებში, ხოლო საგნები, ცნებები, ნიშან-თვისებები, მახასიათებლები და მახასიათებლების სახეობები ჩასმულია ერთმაგ ბრჭყალებში. ამ მონიშვნის მიზანი ისაა, რომ მითითებები სამ ტერმინოლოგიურ დონეზე ადვილად გაიმიჯნოს წინამდებარე დოკუმენტში შეტანილი სხვა ტექსტებისგან.

წინამდებარე ისო 1087-ის გადამუშავებული გამოცემა მომზადებულია ისო 704:2009-ში აღწერილი ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპებისა და მეთოდების შესაბამისად.

VI

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

ანბანური საძიებელი, ინდექსი მოიცავს უპირატეს და დაშვებულ ტერმინებს.

A დანართში მოცემულია ცნებათა დიაგრამები და ცნებათა მოდელები, რომლებზეც წარმოდგენილია მე-3 თავის სხვადასხვა სიტყვა-სტატიაში აღწერილ ცნებებს შორის მიმართება.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ვერსიაში მოცემული მაგალითების უმეტესობა სპეციფიკურია ინგლისური ენისათვის, ხოლო ფრანგულ ვერსიაში - ფრანგული ენისათვის.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.